თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 8

„29“ თებერვალი 2016 წელი

## „ევროკავშირის ინიციატივით დაწყებული მერების შეთანხმებაში თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. „ევროკავშირის ინიციატივით დაწყებული მერების შეთანხმებაში თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №4 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ამავე განკარგულებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. მოხდეს ევროკავშირის მიერ დადგენილი 2030 წლის სტრატეგიის შესაბამისი მიზნების შესრულება, რომელიც მოიცავს CO2 - ის შემცირებას ჩვენს დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიებზე სულ მცირე 40%-ით.“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი